

კლიმატის ცვლილებები და ახალგაზრდების როლი

ნ მაისს „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას“ ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა პროექტი „[კლიმატის ცვლილება](#)“, ასევე ახალგაზრდების როლი ამ საკითხში და რას აკეთებს საზოგადოება პროექტთან ერთად იმ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

სტრასბურგის ცენტრში, ვილა შუტცენბერგერის ულამაზეს ადგილას, „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ (ALDA) საერთო კრებისა და სტრასბურგის სამიტის დროს, ასოციაციამ მოაწყო სამუშაო შეხვედრა ფრანგი ახალგაზრდა ევროპელი ფედერალისტების მონაწილეობით. ეს სემინარი იყო იდეალური საშუალება პროექტის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, ისევე როგორც განხორციელების დროს ჩატარებული კვლევის შედეგების, საქმის შესწავლის, „ადამიანის ეკონომიკის“ ანგარიშისა და IPSOS-ის კვლევის პრეზენტაციის წარსადგენად.

პანელურ დისკუსიაზე განიხილეს პროექტი, [პროექტი „კამპანია და პეტიცია“](#). პანელისტები იყვნენ საფრანგეთიდან ჩამოსული ახალგაზრდების წარმომადგენლები, რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან და მიგრაციასთან ბრძოლაში არიან ჩართულნი.

ახალგაზრდების დამოკიდებულება გარემოსა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მიგრაციის შესახებ

მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა შეძლეს სხვადასხვა თემებზე მსჯელობა. ისაუბრეს ოთხ პუნქტზე, რომელიც პეტიციის შედეგად გამოიკვეთა და აგრეთვე ახალგაზრდების ინტერესსაც წარმოადგენდა. დისკუსიას ხელმძღვანელობდა „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ (ALDA) კლიმატის ცვლილების გუნდი.

გარდა ამისა, „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციამ“ (ALDA) შექმნა გამოცდილებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მომენტი, რომლის წყალობითაც გამოჩნდა ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობა და მათი როლი. ახალგაზრდებში დიდია ინფორმირებულობა გარემოსა და გარემოსდაცვით საკითხებზე.

ALDA-მ სამ პანელისტს დაუსვა რამდენიმე შეკითხვა ახალგაზრდების ინტერესთან დაკავშირებით გარემოს და კლიმატით გამოწვეული მიგრაციის შესახებ. მოეწყო დებატები დამსწრე აუდიტორიასთან, რომელიც ძირითადად უმაღლესი სკოლებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისგან შედგებოდა.

რა გამოიკვეთა კლიმატის ცვლილებების სემინარიდან?

ახალგაზრდა თაობებს შორის არის სურვილი ჩაერთონ ცვლილებების შემქმნელ პროცესებში ჩვენი პლანეტის მომავლისთვის. კიდევ ერთხელ, ამ სემინარის წყალობით, პარტნიორები და აუდიტორია კიდევ უფრო დარწმუნდა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის ხმის მიცემის უფლება და მათგან ახალი ინიციატივების მოსმენა.

#კლიმატის ცვლილება